



ცვლილებების ინიციატორთა ფორუმი 2014 წლის 13-14 თებერვალი

სესიის მიმოხილვა

**მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონმდებლობის რეფორმა: თანამშრომლობა
ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ბიზნესს შორის**

სესიის ხელმძღვანელი: ვახტანგ კობალაძე, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის
პროგრამის უფროსი მენეჯერი

გამომსვლელები:

1. თენგიზ კალანდაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე.
2. ეკა ქარდავა, პარლამენტთან და პრეზიდენტთან ურთიერთობის სამმართველოს მრჩეველი, საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტი.
3. ლია თოდუა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
4. ნანა ბიგანიშვილი, სტუდია მონიტორის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი.
5. ერეკლე გამყრელიძე, სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების გენერალური დირექტორის მოადგილე.

სესიაზე გამომსვლელმა და დამსწრე საზოგადოებამ მიმოხილეს ხელისუფლებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მედიასა და ბიზნეს-სექტორს შორის თანამშრომლობა და ამასთან დაკავშირებული სირთულეები. დისკუსიისას შემდეგი პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები გამოიკვეთა:

- მართალია სურსათის უვნებლობისა და მომხმარებლის უფლებების საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურები უფრო გახსნილები გახდნენ, უფრო აქტიურად და პროაქტიულად თანამშრომლობენ საზოგადოებასთან, თუმცა როგორც სახელმწიფო სტრუქტურებს, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აკლიათ მჭიდრო თანამშრომლობის გამოცდილება. ეს კი პრაქტიკაში არაერთ სირთულეს ქმნის. აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ შეაფასოს ის გამოცდილება, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში დაუგროვდა და მუშაობის გაუმჯობესებას ეცადოს. სისტემური მიდგომის გარეშე საზოგადოებასთან თანამშრომლობა ნაკლებეფექტიანი იქნება.

- ბიზნეს-სექტორი თითქმის არ მონაწილეობს ხელისუფლებასთან დიალოგში მომხმარებლის უფლებებისა და სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებით. მეწარმეები, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, არ არიან სათანადოდ ინფორმირებული სურსათის უვნებლობის სფეროში კანონმდებლობის ცვლილებებზე. ბიზნესის ინფორმირება და მისი გააქტიურება კომპლექსური პრობლემაა. იგი საჭიროებს სახელმწიფო სტრუქტურების, დონორებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეტ ძალისხმევას. ამ პრობლემის მოგვარება დაკავშირებულია, რა თქმა უნდა, თავად ბიზნეს-სექტორის შემდგომ განვითარებასთან, მათ შორის ბიზნეს-ასოციაციების ეფექტიანობის ზრდასთან, ხელისუფლებასთან საჯარო დიალოგის წარმოებისა თუ სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის შესაძლებლობების განვითარებასთან.
- მომხმარებლის გააქტიურება საკუთარი უფლებების უკეთ დასაცავად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რასაც ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ხშირად აყენებენ. ეს პრობლემა ამ სესიაზეც დაისვა და ხაზი გაესვა სამომხმარებლო განათლების აუცილებლობას. ასევე, მონაწილეების მხრიდან შემოთავაზებულ იქნა მომხმარებლის გააქტიურების რამდენიმე ინოვაციური იდეა.
- ცალკე მსჯელობის საგანი გახდა მედიის როლი. აღინიშნა, რომ მედია საკმაოდ ინტენსიურად აშუქებს სურსათის უვნებლობასთან და მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, ხშირია არასწორი, სენსაციური შინაარსის მქონე ინფორმაციის გავრცელება, რასაც მეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი და მეწარმეებსაც ზიანს აყენებს. საკითხების ღრმად და სისტემურად შეფასების მცდელობები ცოტაა. ეს პრობლემა, ზოგადად ქართული მედიის განვითარებასთან არის დაკავშირებული და მხოლოდ სურსათის უვნებლობისა, თუ მომხმარებლის უფლებების საკითხების გაშუქებას არ უკავშირდება. ამიტომ, ამ პრობლემის გადაჭრის თაობაზე მსჯელობას სესიაზე დიდი დრო არ დათმობია. თუმცა აღინიშნა ის, რომ არასწორი ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობს გარკვეული ინფორმაციის გასაიდუმლოება. მაგალითად, საბაჟო დეპარტამენტი არ გასცემს მედიის მიერ მოთხოვნილ მთელ რიგ ინფორმაციას, საგადასახადო საიდუმლოების დაცვის აუცილებლობაზე დაყრდნობით, მაშინ, როდესაც ეს ინფორმაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და მომხმარებლის უფლებების საკითხებს უკავშირდება. გარდა ამისა, თუკი რომელიმე პირი, ან ორგანიზაცია თვლის, რომ ჟურნალისტის მიერ მისი რეპუტაციის შელახვა მოხდა, მას შეუძლია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას მიმართოს, სადაც ეს საკითხი დაწვრილებით იქნება განხილული და კომპეტენტური პირების მიერ დასკვნებიც იქნება გამოტანილი. აღსანიშნავია, რომ ქარტიამ გააფართოვა თავისი საქმიანობის სფერო და იგი განიხილავს საქართველოში მოქმედ ყველა ჟურნალისტთან დაკავშირებულ საჩივარს,

მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ჟურნალისტი ქარტიის წევრი. მართალია, ქარტიის განხილვას იურიდიული ძალა არა აქვს, მაგრამ იგი საკმაოდ ეფექტიანი მექანიზმია ჟურნალისტის პროფესიონალიზმის განსახილველად.

- და ბოლოს, სესიის ბევრმა მონაწილემ გაუსვა ხაზი ხელისუფლებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მედიასა და ბიზნესს შორის რეგულარული დიალოგის წარმოების საჭიროებას, როგორც სესიაზე დასმული პრობლემების გადაჭრის აუცილებელ წინაპირობას.